ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები კინემატოგრაფში

მარიამ შავიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების სკოლის

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევების (კინომცოდნეობის) მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თეო ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

მარიამ შავიძე

15.06.2021

სარჩევი

აბსტრაქტი ----------4

1.1. შესავალი - საკითხის აქტუალობა ----------5

1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზები----------7

1.3. მეთოდოლოგია----------8

2. ძირითადი ნაწილი - ლიტერატურის მიმოხილვა----------9

3. ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების ასახვა ეკრანზე----------14

4. ფსიქიკური დაავადებების რეპრეზენტაცია კინოში ----------21

5. შიზოფრენია----------36

6. დასკვნა----------41

7. რეკომენდაცია----------43

8. გამოყენებული ლიტერატურა----------45

აბსტრაქტი

ფილმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის აღქმის კუთხით, რადგან ბევრი ადამიანი სავსებით არ არის ინფორმირებული ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანების პრობლემების შესახებ. გამოკითხვების მიხედვით, საზოგადოების მრავალი წევრი ფსიქიკური დაავადებების შესახებ ინფორმაციას ფილმების საშუალებით იღებს. ნაშრომის მიზანია კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით ვიკვლიოთ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები კინემატოგრაფში; კერძოდ, როგორ ხდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებისა და ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების ასახვა ეკრანზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმა და სტერეოტიპები ფილმების გავლენით მდგრადია მაკორექტირებელი ინფორმაციის და პოზიტიური სურათების მიმართ, აუცილებელია ცნობადობის გაზრდა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტისთვის კონსულტანტის სტატუსის მინიჭება ფილმებში არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის ასარიდებლად, რაც უმეტესად იწვევს საზოგადოების ნეტაგიურ დამოკიდებულებას.